განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**

საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი

1.03.2019

დასკვნის წარდგენის თარიღი

**26.03.2019**

თბილისი

2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“ |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205037137 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ჟურნალისტიკა |
| განათლების საფეხური | საბაკალავრო |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ჟურნალისტიკაში 0703 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული (01.04.2014) |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე | **ნინო შოშიტაშვილი** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი | **ხათუნა კაჭარავა** გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი | **ქრისტინე ჩიხლაძე** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2005 წლიდან, ხოლო აკრედიტირებულ რეჟიმში პროგრამა ხორციელდება 2014 წლიდან.

პროგრამა ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე. პროგრამის შემუშავების ეტაპზე მოხდა შრომის ბაზრის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ჩართვა. კვლევის მიგნებების საფუძველზე პროგრამაში გათვალისწინებულია ისეთი კომპეტენციების და უნარების გამომუშავება, რაც კურსდამთავრებულებს შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანს ხდის. საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტის დაგეგმვას და ორგანიზებას. სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს მედია ცენტრი და UG TV სტუდია, სადაც სტუდენტები მუშაობენ რეალური ნიუსრუმის პრინციპით. ინტერნაციონალიზაციის მიზნით განხორციელდა მისი გაწევრიანება ევროპის ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციაში (EJTA) და (FEJS), რაც მომავალში სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს ჩაერთონ სხვადასხვა საერთაშორისო პროექტში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა მ/წ 1 მარტს. წინასწარ შეთანხმებული დღის განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის სტუდენტებს, კურსამთავრებულებსა და დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლის ბაზაზე არსებული მედიაცენტრი და UG TV სტუდია; ადგილზე გაეცნო სტუდენტების მიერ ჩაწერილ გადაცემას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმა პროგრამის სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა და საბიბლიოთეკო ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფმა ობიექტურად წარმართა მუშაობა. ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა უსდ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებს წარუდგინა პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პირველი , მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია. მეორე და მესამე სტანდარტი - მეტწილად შესაბამისობაში.

პროგრამის გასაუმჯობესებლად რეკომენდებულია:

1. პროგრამის სწავლის შედეგების ოპტიმიზაცია; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკის შემუშავება და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა; სწავლის შედეგების ზოგიერთი ბუნდოვანი /ტექნიკური ხარვეზების ჩანაწერის გასწორება. კერძოდ,

   - დასკვნის უნარი: კურსდამთავრებულს ექნება: ანალიზი მათი გაშუქების მიზნით, პოლიტიკის გაშუქება; მულტიმედიური პროექტების გაანალიზებისა და შეფასების უნარი მულტიმედია;

   - ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: კურსდამთავრებულს ექნება: დროის მართვის უნარი - ყველა ჟურნალისტური ძირითადი საგანი. გუნდური მუშაობის უნარი - ყველა საგანი ძირითადი ჩვენი ჟურნალისტიკის.

   - სწავლის უნარი. კურსდამთავრებულს ექნება: საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიული სრულყოფის მიზნით, სამაგისტრო საფეხურზე სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი; საბოლოო პროექტი.

2. თეორიული ცოდნის პრაქტიკაში იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად, სასწავლო კურსი „პრაქტიკა ჟურნალისტიკაში" განისაზღვროს სავალდებულოდ;

3. წინაპირობები დაემატოს სასწავლო კურსებს. კერძოდ,
   - „საოფისე კომპიუტერული პროგრამები" წინაპირობად დაემატოს სასწავლო კურსს „მონაცემთა ჟურნალისტიკა".
   - „ქართული ენა და სტილისტიკა" წინაპირობად დაემატოს სასწავლო კურსებს: "ჟურნალისტური ოსტატობაI/ახალი ამბები"; "ჟურნალისტური ოსტატობა II/ტელევიზია-რადიო"; "ჟურნალისტური ოსტატობა III/ სიღრმისეული წერა".
   - "ციფრული მედია ტექნოლოგიები-სოციალური მედია ბიზნესი, პლატფორმები და აუდიტორია" წინაპირობად დაემატოს სასწავლო კურსებს: „სოციალური მედიის სტრატეგია და კამპანიები"; „სოციალური მედიის ანალიზი".

4. სასწავლო კურსებში "მედიამენეჯმენტი" და „ჟურნალისტური ოსტატობა II/ ტელევიზია- რადიო" წინაპირობიდან ამოღებულ იქნას ინგლისური ენა (B1/1; B1/2;C).

5. სასწავლო კურსის დაგეგმვისა და მისთვის კრედიტების მინიჭებისას გათვალისწინებულ იქნას როგორც საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები, ისე კურსის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების მოცულობის და სირთულის სწავლება-სწავლის რელევანტური მეთოდები და სტუდენტთა დატვირთულობა. ამჟამად ყველა სასწავლო კურსი 6 კრედიტიანია.
6. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების ოპტიმიზაცია. ამასთან, გადაიხედოს და შესწორდეს სწავლის შედეგები სასწავლო კურსებში: „ციფრული მედია ტექნოლოგიები - სოციალური მედია ბიზნესი, პლატფორმები და აუდიტორია"; „მედია

და ანგარიშვალდებულება“; „მსოფლიო ჟურნალისტიკის ისტორია“; „ჟურნალისტური ოსტატობა I/ახალი ამბები“; „ქართული ენა და სტილისტიკა“(დეტალური ანალიზი იხ. სტანდ. 2.3);

7. განახლდეს ლიტერატურა სასწავლო კურსებში: „ქართული ენა და სტილისტიკა“; „მედიამენეჯმენტი“; „საჯარო გამოსვლის ტექნიკა“; „ფოტოჟურნალისტიკა“; „სოციალური მედიის ანალიზი“;
8. დამატებითი და დამხმარე სასწავლო მასალები მიეთითოს სასწავლო კურსებში: „ჟურნალისტური ოსტატობა I/ახალი ამბები“; „კრიტიკული წერა“; „მედიამენეჯმენტი“;
9. დაკონკრეტდეს ქვიზისა და საშინაო დავალების შეფასების კრიტერიუმები სასწავლო კურსებში: „ჟურნალისტური ოსტატობა I/ახალი ამბები“; „ჟურნალისტური ოსტატობა II/ ტელევიზია-რადიო“; „მსოფლიო ჟურნალისტიკის ისტორია“; „ქართული ენა და სტილისტიკა“, „საზოგადოებასთან ურთიერთობის შესავალი“;
10. უსდ-მ სტუდენტთათვის ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია კონსულტაციების შესახებ, მაგ: სილაბუსებში ასახოს კვირის განმავლობაში საკონსულტაციო საათების რაოდენობა და კონსულტაციის ჩატარების ადგილი (აუდიტორია).

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

1. დაკონკრეტდეს სწავლების გამოყენებული მეთოდების მიმართება სწავლის განსაზღვრულ შედეგებთან სასწავლო კურსებში: „დემოკრატია და მოქალაქეობა“; „მარკეტინგის საფუძვლები“; „საერთაშორისო ურთიერთობის შესავალი“; „პოლიტიკის შესავალი - პოლიტიკური პროცესი, კულტურა და ინსტიტუტები“; „პოლიტიკის შესავალი“; „ფსიქოლოგიის საფუძვლები“; „ქართული ენა და სტილისტიკა“; „მსოფლიო ჟურნალისტიკის ისტორია“; „შესავალი საქართველოს ისტორიაში“.
2. დარგობრივი კომპეტენციების სრულყოფის მიზნით კურიკულუმში აისახოს კულტურისა და სპორტის გაშუქების სპეციფიკა.
3. კურიკულუმმა უზრუნველყოს ჟურნალისტებისთვის დარგობრივი ინგლისური ენის კომპეტენციის ჩამოყალიბება.
4. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურის მუდმივ განახლებას.
5. უსდ -მ გააქტიუროს მუშაობა სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართვის მიმართულებით. ასევე, სხვადასხვა ორგანიზაციასთან, მემორანდუმების საფუძველზე, სტუდენტების ჟურნალისტიკის პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვის მიმართულებით.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

-------------

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

განმეორებითი აკრედიტაციისთვის პროგრამაში ძირითადი საგნების კრედიტების მოცულობა განისაზღვრა 126  კრედიტით. ასევე, პროგრამის არჩევით საგნებიდან ძირითად საგნებად განისაზღვრა „ჟურნალისტური ოსტატობა IV/ საგამოძიებო ჟურნალისტიკა"და „საბოლოო პროექტი ჟურნალისტიკაში". პროგრამის სტუდენტები სასწავლო კურსის „ჟურნალისტური ოსტატობა II/ ტელე-რადიო" , ფარგლებში შეისწავლიან და პრაქტიკულად გამოიყენებენ პროფესიული არაწრფივი ტელე-აუდიო მონტაჟის პროგრამებს : Adobe Premier-სა და  Audicity-ს.

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და ორიენტირებულია მოამზადოს ლიბერალურ-ჰუმანური ღირებულებების მქონე ჟურნალისტები და ამგვარად ხელი შეუწყოს საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებას, ქართველი ერისა და კაცობრიობის კეთილდღეობას.<br>პროგრამის მიზნები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს; ნათლად არის ჩამოყალიბებული, მიღწევადია და ასახავს იმ ცოდნასა და უნარებს, რაც პროგრამის ფარგლებში გამოუმუშავდებათ კურსდამთავრებულებს. კერძოდ, წყაროსა და მეთოდის გამოყენებით ინფორმაციის მოძიების უნარი, მულტიმედიური პროდუქტების შექმნის უნარი, სხვადასხვა საკითხის გაშუქების უნარი, როგორც ონლაინ და ბეჭდური, ისე ტელევიზიისა და რადიოსთვის, ჟურნალისტური გამოძიების დაგეგმვისა და წარმოების უნარი, ფოტორეპორტაჟებისა და დოკუმენტური ფილმების შექმნის უნარი.<br>პროგრამის მიზანი საჯარო და ხელმისაწვდომია, გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>➢ თვითშეფასების ანგარიში<br>➢ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>➢ უსდ -ს მისია, მიზნები და სტრატეგია;<br>➢ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;<br>➢ ვებგვერდი;<br>➢ ინტერვიუს შედეგები უსდ-ს ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>--- |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>--- |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>---- |

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- -----

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, შემუშავებულია კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამისი დონის მიხედვით და შეესაბამება მისანიჭებელი კვალიფიკაციის მოთხოვნებს. პროგრამის შემუშავებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე, პროგრამის შედეგები ითვალისწინებს დასაქმებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადია, თუმცა არის რაოდენობრივად ბევრი. გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული სწავლის შედეგი პროგრამის დასასრულს უნდა შეფასდეს, რაოდენობრივად ბევრი სწავლის შედეგი გაართულებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესს. შედეგების ეფექტურად შეფასების მიზნით მიზანშეწონილია მათი ოპტიმიზაცია. რეკომენდებულია პროგრამას ჰქონდეს 10 და მასთან მხოლოდ ძალიან მნიშვნელოვანი სწავლის შედეგი.

საქართველოს უნივერსიტეტში შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. ამ მიზნით, პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა აქტიური ჩართულობით განხორციელდა სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებელთა კვლევა, რაც დასტურდება ინტერვიუს შედეგებითაც. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოაღნიშნული კვლევების შედეგებს, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია პროგრამის სამიზნე ნიშნულები, ისევე როგორც პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა, ვერ მოხდა მიღებული მონაცემების დადარება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. ექსპერტებს ვიზიტის განხორციელებისას ადგილზე დახვდათ პროგრამის სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების შესაბამისობის რუკა (კურიკულუმის რუკა), რომელიც არ შედიოდა eqe-ს მიერ სააკრედიტაციოდ გამოგზავნილი დოკუმენტების პაკეტში.

| |
|---|
| პროგრამის სწავლის შედეგებში ზოგიერთი ბუნდოვანი და ტექნიკური ხარვეზის ჩანაწერი საჭიროებს დაზუსტებას. კერძოდ,<br><br>➢ *დასკვნის უნარი: კურსდამთავრებულს ექნება:* ანალიზი მათი გაშუქების მიზნით, პოლიტიკის გაშუქება; მულტიმედიური პროექტების გაანალიზებისა და შეფასების უნარი მულტიმედია;<br><br>➢ *ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:* კურსდამთავრებულს ექნება: დროის მართვის უნარი - ყველა ჟურნალისტური ძირითადი საგანი. გუნდური მუშაობის უნარი - ყველა საგანი ძირითადი ჩვენი ჟურნალისტიკის.<br><br>➢ *სწავლის უნარი. კურსდამთავრებულს ექნება:* საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიული სრულყოფის მიზნით, სამაგისტრო საფეხურზე სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი; საბოლოო პროექტი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>➢ თვითშეფასების ანგარიში;<br>➢ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>➢ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;<br>➢ ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია;<br>➢ სწავლის შედეგების შეფასების შედეგად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანგარიში;<br>➢ ვებ-გვერდი www.ug.edu.ge<br>➢ გამოკითხვის შედეგები;<br>➢ ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების ოპტიმიზაცია;<br><br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკის შემუშავება და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგებში ზოგიერთი ბუნდოვანი/ტექნიკური ხარვეზის ჩანაწერის დაზუსტება/ გასწორება. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>------ |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>------ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>-------- |

| შეფასება |
| --- |
| ● გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| --- | --- | --- | --- | --- |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | V | | | |

2. **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| **2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები** |
| --- |
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების პროცედურები და წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (საბაკალავრო პროგრამებზე) სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში.
- საბაკალავრო პროგრამა;
- ვებ-გვერდი www.ug.edu.ge
- საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულება
- ინტერვიუს შედეგები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.

**რეკომენდაციები:**

-----

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

----

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

----

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

------

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

| |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიას. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს - ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს როგორც თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში, ისე მეორადი პროფესიის (მაინორის) არჩევითობას. სტუდენტებმა დამატებითი სპეციალობა შეიძლება აირჩიონ შემდეგი სპეციალობებიდან: არქეოლოგია, ინგლისური ფილოლოგია, ქართული ფილოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, აღმოსავლეთმცოდნეობა, მასწავლებლის მომზადების პროგრამა, ამერიკათმცოდნეობა, ისტორია, პოლიტიკის მეცნიერებები.<br>პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. გათვალისწინებულია სტუდენტების დიფერენციაცია ენობრივი კომპეტენციების მიმართულებით. კერძოდ, სტუდენტი იწყებს ინგლისურ ენას იმ ეტაპიდან, რომელიც შეესაბამება მის ცოდნას, რაც დგინდება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შეფასების საფუძველზე: თუ სტუდენტის ქულა მოთავსდება შუალედში (0-50]–A2; თუ სტუდენტის ქულა მოთავსდება შუალედში (51-75]- B1/1;თუ სტუდენტის ქულა მოთავსდება შუალედში (76-100)–B1/2. სტუდენტს რომელსაც არ ჩაუბარებია ინგლისური ენა, უტარდება დონის დასადგენი ტესტი და შემდეგ ხდება მისი რეგისტრაცია შესაბამის დონეზე, არაუმაღლეს B1/2 - სა. სტუდენტს სკოლის არჩევითი საგნების ფარგლებში ასევე შეეთავაზება ორი დამატებითი ინგლისური დონის კომპონენტი - ინგლისური ენა I (A1) და ინგლისური ენა II (A2).<br>პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები თანმიმდევრული და ლოგიკურია. შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს ცოდნის გრადაციას საბაზისოდან ფართომდე. მიუხედავად ამისა, არის გასაუმჯობესებელი მხარეები:<br>➢ „საოფისე კომპიუტერული პროგრამების" შესწავლა მნიშვნელოვნად დაეხმარება „მონაცემთა ჟურნალისტიკის" ათვისებას.<br>➢ სასწავლო კურსი „ქართული ენა და სტილისტიკა" დაეხმარება სტუდენტებს უკეთ შეისწავლონ „ჟურნალისტური ოსტატობა I/ახალი ამბები"; „ჟურნალისტური ოსტატობა II/ტელევიზია-რადიო"; „ჟურნალისტური ოსტატობაIII/ სიღრმისეული წერა".<br>➢ სასწავლო კურსი "ციფრული მედია ტექნოლოგიები - სოციალური მედია ბიზნესი, პლატფორმები და აუდიტორია" დაეხმარება სტუდენტებს უკეთ შეისწავლონ „სოციალური მედიის სტრატეგია და კამპანიები" და „სოციალური მედიის ანალიზი".<br>➢ სასწავლო კურსებში "მედიამენეჯმენტი" და „ჟურნალისტური ოტატობა II/ ტელევიზია- რადიო" წინაპირობად მითითებულია ინგლისური ენა (B1/1; B1/2;C), თუმცა, სილაბუსებში ინგლისური ენის კომპეტენცია არ არის გათვალისწინებული.<br><br>შრომის ბაზრის კვლევის მიხედვით, კურსდამთავრებულებისთვის ყველაზე |

| |
|---|
| დეფიციტური და ამავდროულად დამსაქმებლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ მიერ მიღებული თეორიული ცოდნების პრაქტიკაში იმპლემენტაციის უნარი. მოცემულიდან გამომდინარე სასწავლო კურსი „პრაქტიკა ჟურნალისტიკაში" არჩევითი არ უნდა იყოს.<br>დამსაქმებელთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ პრობლემას წარმოადგენს დარგობრივი ინგლისურის მცოდნე კურსდამთავრებული. აღნიშნულის დასაძლევად, სასურველია, კურიკულუმმა უზრუნველყოს ჟურნალისტებისთვის დარგობრივი ინგლისური ენის კომპეტენციის ჩამოყალიბება.<br>პროგრამაში დარგობრივი კომპეტენციების სრულყოფისათვის, სასურველია, კურიკულუმში აისახოს კულტურისა და სპორტის გაშუქების სპეციფიკა.<br>ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე. საქართველოს უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას ვებგვერდზე ინფორმაციის მუდმივი მიწოდებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• თვითშეფასების ანგარიში<br>• ხარისხის უწყვეტი სრულყოფის ინსტრუქცია<br>• სასწავლო და სამეცნიერო პერსონალის დებულება<br>• საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები<br>• ვებ გვერდი - www.ug.edu.ge<br>• შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში<br>• კურსდამთავრებულთა კვლევის ანგარიში<br>• პროგრამის დამსაქმებელთა კვლევის ანგარიში<br>• ინტერვიუ სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>➢ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში იმპლემენტაციის უზრუნველსაყოფად სასწავლო კურსი „ პრაქტიკა ჟურნალისტიკაში" განისაზღვროს სავალდებულოდ;<br>➢ სასწავლო კურსს „მონაცემთა ჟურნალისტიკა" წინაპირობად მიეთითოს „საოფისე კომპიუტერული პროგრამები";<br>➢ სასწავლო კურსებს, "ჟურნალისტური ოსტატობა I/ახალი ამბები"; "ჟურნალისტური ოსტატობა II/ტელევიზია-რადიო"; "ჟურნალისტური ოსტატობა III/ სიღრმისეული წერა " , წინაპირობად მიეთითოს „ქართული ენა და სტილისტიკა".<br>➢ სასწავლო კურსებს, „სოციალური მედიის სტრატეგია და კამპანიები" და „სოციალური მედიის ანალიზი", წინაპირობად მიეთითოს "ციფრული მედია ტექნოლოგიები - სოციალური მედია ბიზნესი, პლატფორმები და აუდიტორია" ;<br>➢ სასწავლო კურსებში "მედიამენეჯმენტი" და „ჟურნალისტური ოტატობა II/ ტელევიზია- რადიო" წინაპირობიდან ამოღებულ იქნას ინგლისური ენა (B1/1; B1/2;C) |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>➢ დარგობრივი კომპეტენციების სრულყოფის მიზნით კურიკულუმში აისახოს კულტურისა და სპორტის გაშუქების სპეციფიკა. |

- ➢ კურიკულუმმა უზრუნველყოს ჟურნალისტებისთვის დარგობრივი ინგლისური ენის კომპეტენციის ჩამოყალიბება.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-----

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-------

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.3. სასწავლო კურსი**

- ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსი (გამონაკლისი -საბოლოო პროექტი ჟურნალისტიკაში - 12) განისაზღვრება 6 კრედიტით. სწავლის მოცულობა განსაზღვრული სწავლის შედეგების და მათთან დაკავშირებული დატვირთვის ადეკვატური უნდა იყოს, რაც პროგრამით გათვალისწინებული განსხვავებული შინაარსის და კომპეტენციების კურსებისთვის ერთიანი ვერ იქნება.

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია კვალიფიკაციის დონის მოთხოვნებთან, მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა სასწავლო კურსებით („დოკუმენტური ფილმის მომზადება“; „ჟურნალისტური ოსტატობა/ახალი ამბები“; „ჟურნალისტური ოსტატობა/ ტელე-რადიო“; „ჟურნალისტური ოსტატობა/სიღმისეული წერა“ „ფოტოჟურნალისტიკა“; „თვისებრივი კვლევის მეთოდები“, „კონტენტმარკეტინგი“, „კრიტიკული წერა“; „მონაცემთა ჟურნალისტიკა“; „პოლიტიკის

შესავალი“; ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის საკითხების გაშუქება“; „საზოგადოებასთან ურთიერთობის შესავალი“) განსაზღვრული სწავლის შედეგების რაოდენობა ბევრია, რაც შეიძლება წარმოადგენდეს სირთულეს შედეგების შეფასების პროცესისთვის. კურსების უმეტესობას შეიძლება ჰქონდეს ხუთიდან ათამდე სწავლის შედეგი. მცირე რაოდენობით სწავლის შედეგები შესაძლებელს გახდის შემოწმდეს, თუ რამდენად მიღწევადია კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი განსაზღვრული შეფასების ფორმებით.

სასწავლო კურსებში არის სხვა გასაუმჯობესებელი მხარეებიც. კერძოდ,

- სასწავლო კურსში, „ციფრული მედია ტექნოლოგიები - სოციალური მედია ბიზნესი, პლატფორმები და აუდიტორია“, ცოდნა და გაცნობიერებისა და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები იდენტურია.

- სასწავლო კურსში „მედია და ანგარიშვალდებულება“, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების და კომუნიკაციის უნარებში სწავლის შედეგები (2) იდენტურია .

- სასწავლო კურსში „მსოფლიო ჟურნალისტიკის ისტორია“ ბუნდოვანია და დაზუსტებას საჭიროებს სწავლის შედეგი: მსოფლიო მასმედიის ისტორიული განვითარების თავისებურებებთან დაკავშირებით კომუნიკაციის უნარი.

- სასწავლო კურსში „ჟურნალისტური ოსტატობა I/ახალი ამბები“, დოკუმენტების მნიშვნელობასთან დაკავშირებით სპეციალისტებსა და არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარის მითითება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარად მიზანშეწონილი არ არის.

- სასწავლო კურსში „ქართული ენა და სტილისტიკა“ კომუნიკაციის უნარში - მითითებული სწავლის შედეგი -ეფექტური ზეპირი გამოსვლის უნარი მშობლიურ და **უცხოურ ენებზე** , ვერ გამომუშავდება აღნიშნული სილაბუსით.

- სასწავლო კურსების სილაბუსებში ხშირია ტექნიკური ხარვეზები - წინაპირობების გამეორებები.

სილაბუსით მითითებული ლიტერატურა ძირითადად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს. თუმცა დარგში სწრაფად ცვლადი ტენდენციების კვალდაკვალ მიზანშეწონილია ლიტერატურა მუდმივად ახლდებოდეს.

მოძვლებულია ლიტერატურა და საჭიროებს განახლებას შემდეგ სასწავლო კურსებში:

- „ქართული ენა და სტილისტიკა“
- „მედია და პოლიტიკა“
- „მედიამენეჯმენტი“
- „საჯარო გამოსვლის ტექნიკა“
- „ფოტოჟურნალისტიკა“
- „სოციალური მედიის ანალიზი“.

| |
|---|
| მხოლოდ სავალდებულო ლიტერატურაა მითითებული შემდეგ სასწავლო კურსებში:<br>- „ჟურნალისტური ოსტატობა I/ახალი ამბები“<br>- „კრიტიკული წერა“<br>- „მედიამენეჯმენტი“. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• თვითშეფასების ანგარიში<br>• საბაკალავრო პროგრამა<br>• სილაბუსები<br>• საბაკალავრო და სამაგისტრო დებულება<br>• განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N3, 2007 წ. 5 იანვარი.<br>• ინტერვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის მართვის სამსახურთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>➢ რეკომენდებულია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ოპტიმიზაცია;<br><br>➢ სასწავლო კურსის დაგეგმვისა და მისთვის კრედიტების მინიჭებისას გაითვალისწინონ როგორც საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები, ასევე კურსის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების მოცულობის და სირთულის სწავლება-სწავლის რელევანტური მეთოდები და სტუდენტთა დატვირთულობა. ამჟამად ყველა საგანი 6 კრედიტიანია;<br><br>➢ გადაიხედოს იდენტური სწავლის შედეგები სასწავლო კურსებში: „სასწავლო კურსში „ციფრული მედია ტექნოლოგიები - სოციალური მედია ბიზნესი, პლატფორმები და აუდიტორია“; „მედია და ანგარიშვალდებულება“;<br><br>➢ დაზუსტდეს სწავლის შედეგები სასწავლო კურსში: „მსოფლიო ჟურნალისტიკის ისტორია“ ;<br>➢ სასწავლო კურსში „ჟურნალისტური ოსტატობა I/ახალი ამბები“, დოკუმენტების მნიშვნელობასთან დაკავშირებით სპეციალისტებსა და არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი ამოღებულ იქნას ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარებიდან ;<br>➢ სასწავლო კურსში „ქართული ენა და სტილისტიკა“ , განიხილონ კომუნიკაციის უნარის (ეფექტური ზეპირი გამოსვლის უნარი მშობლიურ და უცხოურ ენებზე) შესაბამისობა სასწავლო კურსის შინაარსთან ;<br>➢ განახლდეს ლიტერატურა სასწავლო კურსებში: „ქართული ენა და სტილისტიკა“; „მედიამენეჯმენტი“; „საჯარო გამოსვლის ტექნიკა“; „ფოტოჟურნალისტიკა“; „სოციალური მედიის ანალიზი“.<br>➢ მიეთითოს დამატებითი და დამხმარე სასწავლო მასალები სასწავლო კურსებში: „ჟურნალისტური ოსტატობა I/ახალი ამბები“; „კრიტიკული წერა“; |

„მედიამენეჯმენტი“.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

------

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

------

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

------

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საბაკალავრო პროგრამა თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკითა და პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსით, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს UG TV სტუდია და მედია ცენტრი, სადაც სტუდენტები მუშაობენ რეალური ნიუსრუმის პრინციპით. ინტერვიუებისა და მედიაცენტრის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტებს აქვთ სივრცეები, სადაც შეუძლიათ პრაქტიკული გამოცდილების მიღება. პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც შეაფასებს სტუდენტის საქმიანობას.

ასევე, ინტერვიუებითა და წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინა, რომ მიმდინარეობს ევროპის ჟურნალისტიკის საერთაშორისო ასოციაციის EJTA და ასევე, პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაცია FEJS ღონისძიებებში ჩართვა.

მემორანდუმების სიმრავლის მიუხედავად, სხვა ორგანიზაციებთან ჟურნალისტიკის პრაქტიკულ საქმიანობაში სტუდენტების აქტიური ჩართვა არ გამოიკვეთა.

Erasmus + - ის ფარგლებში ხორციელდება ჟურნალისტიკის პროგრამის სტუდენტების

საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- სატელევიზიო გადაცემა.
- Erasmus +
- UG TV
- მემორანდუმები/საერთაშორისო მემორანდუმები
- EJTA; FEJS
- ინტრვიუს შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან , კურსდამთავრებლებთან.

**რეკომენდაციები:**

------------------

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- უსდ -მ გააქტიუროს მუშაობა სტუდენტების კვლევით პროექტებში ჩართვის მიმართულებით.
- უსდ-მ გააქტიუროს მუშაობა სხვადასხვა ორგანიზაციასთან, მემორანდუმების საფუძველზე, სტუდენტების ჟურნალისტიკის პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვის მიმართულებით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

------

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

-----

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. პროგრამის ფარგლებში გამოიყენება ინტერაქტიული ლექციები; პრაქტიკული მუშაობა; გუნდური მუშაობა; შემთხვევის შესწავლა და ანალიზი (casestudy); ლიტერატურის მიმოხილვა; შესაბამისი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში; პრეზენტაციების წარდგენა.<br>სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს, კურსის შინაარს და უზრუნველყოფს შედეგების მიღწევას. თუმცა, სწავლება-სწავლის მეთოდების კონკრეტული გამოყენება საჭიროებს დაზუსტებას შემდეგ სასწავლო კურსებში: „დემოკრატია და მოქალაქეობა"; „მარკეტინგის საფუძვლები"; „პოლიტიკის შესავალი"; „საერთაშორისო ურთიერთობის შესავალი"; „პოლიტიკის შესავალი - პოლიტიკური პროცესი, კულტურა და ინსტიტუტები"; „ ფსიქოლოგიის საფუძვლები"; „ქართული ენა და სტილისტიკა";„მსოფლიო ჟურნალისტიკის ისტორია"; „შესავალი საქართველოს ისტორიაში". |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>➢ თვითშეფასების ანგარიში<br>➢ სწავლება -სწავლის მეთოდები<br>➢ სილაბუსები<br>➢ კვლევის შედეგები.<br>➢ ინტერვიუს შედეგები მოწვეულ/აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან ; სტუდენტებთან . |
| **რეკომენდაციები:**<br>------ |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>➢ მკაფიოდ განისაზღვროს სწავლების გამოყენებული მეთოდების მიმართება სწავლის განსაზღვრულ შედეგებთან შემდეგ სასწავლო კურსებში: „დემოკრატია და მოქალაქეობა"; „მარკეტინგის საფუძვლები"; „პოლიტიკის შესავალი"; „საერთაშორისო ურთიერთობის შესავალი- პოლიტიკური პროცესი, კულტურა და ინსტიტუტები"; „პოლიტიკის შესავალი"; „ ფსიქოლოგიის საფუძვლები"; „ქართული ენა და სტილისტიკა"; „მსოფლიო ჟურნალისტიკის ისტორია"; „შესავალი საქართველოს |

| |
|---|
| ისტორიაში“. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.6. სტუდენტების შეფასება** |
|---|
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
